



# საჩუქრეთა წიგნი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს  
ხელმძღვანელობას

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021  
წლის კონსოლიდირებული ფინანსური  
ანგარიშგების აუდიტი

---

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს  
ბატონ ვახტანგ გომელაურს

ბატონო ვახტანგ,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახორციელა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, შედეგად გაიცა უარყოფითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

მიმდინარე აუდიტის ფარგლებში და წინა პერიოდის აუდიტების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში – ARIS ([www.aris.sao.ge](http://www.aris.sao.ge)).

პატივისცემით,

**ცოტნე ყავლაშვილი**

გენერალური აუდიტორი

|                                                                           |    |
|---------------------------------------------------------------------------|----|
| ტერმინები და შემოკლებები .....                                            | 2  |
| 1. რეკომენდაციები .....                                                   | 3  |
| 2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები .....             | 23 |
| 3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების<br>მდგომარეობა ..... | 26 |
| საკონტაქტო ინფორმაცია .....                                               | 30 |

## ტერმინები და შემოკლებები

**სამინისტრო** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

**აპარატი** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

**„112“** – სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“.

**დაცვის პოლიციის დეპარტამენტი** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

**თბილისის პოლიციის დეპარტამენტი** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტი.

**მომსახურების სააგენტო** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

**სასაზღვრო პოლიცია** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია.

**საპატრულო პოლიცია** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი.

**საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

**სპეციფიკური დანიშნულების აქტივები** – ანგარიშის მიზნებისთვის სპეციფიკური დანიშნულების აქტივები განხილულია როგორც საბრძოლო მასალა, იარაღი, ტყვია-წამალი და სხვა მსგავსი ტიპის აქტივები.

**ტერიტორიული ორგანო** – შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ერთეული

**შსს-ს აკადემია** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია

**სსზსს** – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

**ჯანმრთელობის დაცვის სამსახური** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შსს-ს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური.

## 1. რეკომენდაციები

### 1.1 მოთხოვნა-ვალდებულებების აღრიცხვა და კონტროლი

#### აუდიტის მიგნება

სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში გამოვლინდა მოთხოვნებთან დაკავშირებული სხვადასხვა ნაკლოვანება, კერძოდ:

**დაცვის პოლიციის დეპარტამენტის** მიერ მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანების მუხლი შეადგენს 20,788,318 ლარს, ხოლო სხვა მოკლევადიანი აქტივების მუხლი - 2,078,513 ლარს.

ზემოაღნიშნული მოთხოვნებიდან, აუდიტის პროცესში იდენტიფიცირებულია 3,631,475 ლარის ოდენობით დებიტორული დავალიანებები, რომლებიც 1996-2009 წლამდე პერიოდს უკავშირდება და მათი დაფარვის ალბათობა დაბალია. მაგალითად:

- 1,908,132 ლარის ოდენობის მოთხოვნა ირიცხება ლიკვიდირებული კომპანიების<sup>1</sup> მიმართ;
- 820,388 ლარის ოდენობის მოთხოვნები<sup>2</sup> წარმოშობილია 1999-2009 წლებში და ხანდაზმულია, მათ შორის რამდენიმე კომპანიის<sup>3</sup> საიდენტიფიკაციო კოდი არ იძებნება;
- შსს ცენტრალური აპარატის მიმართ 2003 წლიდან ირიცხება მოთხოვნა 201,407 ლარის ოდენობით, რომელსაც აპარატი არ ადასტურებს;
- დაცვის პოლიციას სამშენებლო კომპანიის<sup>4</sup> მიმართ აღიარებული აქვს მოთხოვნა 324,370 ლარის ოდენობით. დაკვეთით შესასრულებელი სამუშაოები კომპანიის მიერ ფაქტობრივად დასრულებულია<sup>5</sup>. თუმცა, არ არის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი. შესაბამისად, მოთხოვნების მუხლი 324,370 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი;
- 169,048 ლარის მოთხოვნა ირიცხება ისეთი კომპანიების<sup>6</sup> მიმართ, რომლებზეც მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება;<sup>7</sup>
- 208,130 ლარი წარმოადგენს სხვადასხვა წლებში ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილ დანაკლისს;<sup>8</sup>
- ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია დაცვის მომსახურების გაწევიდან წარმოქმნილი, თანხობრივად შედარებით მცირე დებიტორული დავალიანებები, რომლებიც წარმოშობილია 1996-2014 წლებში და ხანდაზმულია.

<sup>1</sup> შპს „ნიუ ენერჯი“ (ს/კ 205026559); შპს „ენერგო გენერაცია“ (ს/კ 204393307); სს „საქრუბეროიდი“ (ს/კ 226521163); სს „თბილსრესი“ (ს/კ 226521653).

<sup>2</sup> კულტურის სამინისტრო, შპს „კახეთის პური“, შპს „ვახისი“, შპს „ჩემპიონი 2004“, შპს „ფაიზი“, შპს „ბორჯომის ცენტრალური პარკი“. შპს „ინტერმშენი“, შპს „ვიპ ავიამშენი“, შპს „გოლდ ინვესტი“, შპს „საქმეტალი“, შპს „ვინჩესტერი“, ჯანდაცვის სამინისტრო.

<sup>3</sup> შპს „ბორჯომის ცენტრალური პარკი“, შპს „კახეთის პური“, შპს „ჩემპიონი 2004“. შპს „ფაიზი“.

<sup>4</sup> შპს „სავანე“, დებიტორული დავალიანება წარმოქმნილია 2003 წელს. სამინისტროს განმარტებით, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ შედგენილა, ხოლო აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ექსპერტიზით შეუძლებელია განისაზღვროს შესრულებული სამუშაოების მოცულობები და ღირებულება.

<sup>5</sup> აღნიშნული ფაქტი ასევე დასტურდება დეპარტამენტის 2014 წლის ინვენტარიზაციის აქტით.

<sup>6</sup> შპს „ომეგა-2“ (ს/კ 245422608); შპს „რუსთაველი“ (ს/კ 216291956); შპს „ბიოპლუსი“ (ს/კ 445389696); კულტურის, სპორტის და ტურიზმის სამინისტრო.

<sup>7</sup> საქმისწარმოება მიმდინარეობდა 2008-2014 წლებში.

<sup>8</sup> 2008 წლიდან მიმდინარეობს გამოძიება.

**საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის** მიერ მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანების მუხლი შეადგენს 8,101,747 ლარს, ხოლო სხვა მოკლევადიანი აქტივების მუხლი - 3,987,845 ლარს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კონტროლირებული ერთეულის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხული მოთხოვნებიდან:

- )/ 1991-2004 წლებში წარმოქმნილი 5,273,118 ლარის დავალიანების ხანდაზმულობიდან გამომდინარე, მათი ამოღების ალბათობა დაბალია. მათ შორის ზოგიერთი დებიტორი<sup>9</sup> ლიკვიდირებულია ან არ იძებნება მოთხოვნის წარმოშობის დოკუმენტაცია<sup>10</sup>;
- )/ 510,338 ლარის დებიტორული დავალიანება<sup>11</sup> დაკავშირებულია 1996-1999 წლებში გახარჯული მატერიალური რეზერვების შევსებასთან, რისთვისაც, ბიუჯეტიდან არ გამოყოფილა რესურსი;
- )/ 467,234 ლარის მოთხოვნა საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს მიმართ წარმოშობილია 1994 წელს, დავალიანების დაფარვის საკითხი დღემდე არ არის გადაწყვეტილი;
- )/ 1994 წელს წარმოშობილ 63,925 ლარის ოდენობის დებიტორულ დავალიანებასთან<sup>12</sup> დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყვეტილია;<sup>13</sup>
- )/ დაუმთავრებელი მშენებლობის სახით რიცხული 2,959,558 ლარის ქონება<sup>14</sup>, 2019 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის საფუძველზე აღიარდა დანაკლისად. აღნიშნული ქონებებით სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო არ სარგებლობდა და ვერ აკონტროლებდა აღნიშნულ აქტივს. შესაბამისად, „სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივების“ ნაშთი 2,959,558 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

**სასაზღვრო პოლიციის** მიერ მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანების მუხლი შეადგენს 1,431,381 ლარს და სხვა მოკლევადიანი აქტივების მუხლი - 16,308,016 ლარს, საიდანაც:

- )/ სასაზღვრო პოლიციის მიერ 2008 წელს ავანსის სახით ბიუჯეტში გადახდილი 500,000 ლარის მოთხოვნას<sup>15</sup> არ ადასტურებს<sup>16</sup> შემოსავლების სამსახური;

<sup>9</sup> ლიკვიდირებული დებიტორები, ჯამური თანხით - 4,684,374 ლარი: სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატი“, ბათუმის თამბაქოს ფაბრიკა, სს „რუსთავის ქიმიკო“, მეტეხის ნავთობბაზა, „ცეკავშირის“ ქუთაისის საწარმოო კომბინატი.

<sup>10</sup> საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ჯამური თანხა - 10,058 ლარი.

<sup>11</sup> საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 17 ივნისის N371 ბრძანებულება მე-4 მუხლის 33-ე პუნქტის მიხედვით წარმოშობილი მოთხოვნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

<sup>12</sup> საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების გორის სასწავლო საწარმო.

<sup>13</sup> ბრალდებულის გარდაცვალების გამო.

<sup>14</sup> საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე არსებული 2 ერთეული შენობა-ნაგებობა. მშენებლობა დაიწყო 1990-იან წლებში, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საკუთრების/სარგებლობის უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის. მიმდინარე მდგომარეობით და ქონების ეროვნული სააგენტოს წერილებით დასტურდება ქონების კერძო/სახელმწიფო საკუთრება.

<sup>15</sup> მოთხოვნა წარმოქმნილია 2008 წელს და ორგანიზაციის საგადასახადო აღრიცხვის ბარათზე ავანსის თანხის არსებობა არ დასტურდება.

<sup>16</sup> შემოსავლების სამსახურის 2018 წლის 16 ნოემბრის N21-11/141223 წერილი.

- ს) სასამართლოს გადაწყვეტილებით,<sup>17</sup> სასაზღვრო პოლიციას უარი ეთქვა 2007 წელს წარმოშობილი 758,987 ლარის დავალიანების<sup>18</sup> ამოღებასთან დაკავშირებით;<sup>19</sup>
- ს) 429,962 ლარის მოთხოვნასთან<sup>20</sup> დაკავშირებით ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია საგამომიებო მოქმედებების წარმოების შესახებ;
- ს) 181,877 ლარის მოთხოვნების<sup>21</sup> წარმოშობის დოკუმენტაცია ორგანიზაციაში არ იძებნება.

„112“-ის ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხული 5,625,283 ლარის დებიტორული დავალიანებიდან, სპეციალურად საჯარიმო სადგომზე მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა დგომის საფასურის გადაუხდელობით წარმოქმნილი 3,169,549 ლარის ოდენობის დავალიანებასთან დაკავშირებით, პროგრამული ხარვეზის გამო ვერ იქნა წარმოდგენილი დებიტორების დეტალური ნუსხა.

*ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების მუხლში ასახული 93,313,775 ლარის საბოლოო ნაშთის სისრულეზე, სიზუსტესა და არსებობაზე.*

სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში გამოვლინდა ვალდებულებებთან დაკავშირებული სხვადასხვა ნაკლოვანება, კერძოდ:

**დაცვის პოლიციის დეპარტამენტის** ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხული 4,847,498 ლარის ოდენობის კრედიტორული დავალიანებიდან, 1,413,333 ლარის დავალიანება<sup>22</sup> წარმოშობილია 1999-2005 წლებში, ხოლო, 2012 წლამდე წარმოშობილ 1,261,614 ლარის დავალიანებაზე<sup>23</sup> ვალდებულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ორგანიზაციაში არ მოიპოვება.<sup>24</sup>

**სასაზღვრო პოლიციის** ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხული 3,148,050 ლარის ოდენობის ვალდებულებებიდან, 3,048,823 ლარის დავალიანება (97%) წარმოშობილია 1996-2005 წლებში, საიდანაც 1,277,277 ლარის დავალიანების<sup>25</sup> წარმოშობის დოკუმენტაცია ორგანიზაციაში არ იძებნება.

<sup>17</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმე N28/2661-18.

<sup>18</sup> ფიზიკურ პირს 2010 წელს სასამართლომ დააკისრა 758,987 ლარის გადახდა სასაზღვრო პოლიციის სასარგებლოდ, აღნიშნული პირის გარდაცვალების შემდგომ სასამართლომ მოვალის ოჯახის წევრები ვალდებულების უფლებამონაცვლედ არ ცნო.

<sup>19</sup> მოვალის გარდაცვალების გამო.

<sup>20</sup> დანაკლისის სახით ირიცხება 2007 წელს ჩამოვარდნილი შვეულმფრენი მი-2 N 16 5210520028, რომელზედაც მიმდინარეობდა გამოძიება დამნაშავე პირების დასადგენად, თუმცა სასაზღვრო პოლიციაში არ იძებნება დოკუმენტაცია აღძრული სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

<sup>21</sup> სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N1 სამმართველო: მოთხოვნა წარმოიშვა 2001 წელს ანგარიშვალდებული პირების მიმართ, საკვები პროდუქტების მიწოდებასთან დაკავშირებით; სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N3 და N10 სამმართველოები, მოთხოვნა წარმოიშვა 2005 წელს სალაროდან მოპარული პირად შემადგენლობაზე გასაცემი ხელფასი და ფულადი კომპენსაცია.

<sup>22</sup> მომუშავეთათვის დარიცხული გაუცემელი ხელფასები, წინა პერიოდის გაურვეველი ნაშთები.

<sup>23</sup> გადავადებული მოგების გადასახადი, სოციალური დაზღვევის ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადით წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებები.

<sup>24</sup> 57 469 ლარის დავალიანებაზე შს-ს გენერალურმა ინსპექციამ და შს-ს კონტრაზვერვის დეპარტამენტმა დაიწყო გამოძიება, თუმცა 2008 წლის 25 ივლისს, მტკიცებულებების არ არსებობის გამო, გამოძიება შეწყდა.

<sup>25</sup> ვალდებულებები დეპონენტების მიმართ, შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები და სახმელეთო საზღვრის დაცვის

## აუდიტის მიგნება

აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხული 21,988,647 ლარის დავალიანებიდან, 1,432,160 ლარი წარმოადგენს 2003 წლამდე დარიცხული გადასახადებით წარმოქმნილ მოკლევადიან დავალიანებებს.<sup>26</sup>

**ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის** მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თანამშრომელთა მკურნალობის ხარჯების დაფარვის მიზნობრივობით გაცემული და აუნაზღაურებელი გარანტიების თაობაზე. აღნიშნულ გარანტიებს აქვთ შეუზღუდავი მოქმედების ვადა<sup>27</sup>. შესაბამისად, სამსახურს შესაძლოა ნებისმიერ საანგარიშო პერიოდში მოუწიოს მათი ანაზღაურება, რომლის დაფინანსებაც უნდა მოხდეს შესაბამისი წლის დამტკიცებული ბიუჯეტის/ასიგნების ფარგლებში.

ვინაიდან, სამსახურში არ არის დანერგილი ფინანსური გარანტიების სააღრიცხვო სისტემა და არ არის შემუშავებული მათი სააღრიცხვო პოლიტიკა, სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში „კრედიტორული დავალიანების“ და „მიმდინარე ანარიცხების“ ნაშთები შესაძლოა არ ასახავდეს მათ რეალურ ოდენობას, თუმცა ჩვენ ვერ შევძელით ფინანსურ ანგარიშგებაზე უზუსტობების გავლენის შეფასება. სსიპ - ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის განმარტებით, 2022 წლიდან განისაზღვრა ანაზღაურებად გარანტიებზე მოქმედების ვადა.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ვალდებულებების მუხლში ასახული 42,496,897 ლარის საბოლოო ნაშთის სისრულეზე, სიზუსტესა და არსებობაზე.**

სამინისტროს განმარტებით, მიმდინარეობს ღონისძიებები ვალდებულებების დეტალური შესწავლის, ანალიზის და მიღებული შედეგების საფუძველზე კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირების მიზნით.

## მიზეზი

პირველადი დოკუმენტების არარსებობა; ხანდაზმული დავალიანებების რეალობის დადგენასთან და პირველადი დოკუმენტაციის მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეები; დებიტორებთან სათანადო კომუნიკაციის ნაკლებობა; ინვენტარიზაციის არასრულყოფილად ჩატარება და დავალიანებების დაფარვის ალბათობის შეუფასებლობა; დებიტორული დავალიანებების ამოღებასთან დაკავშირებული დაგვიანებული ქმედებები.

## გავლენა

ფინანსური ანგარიშგების „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“, „სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივების“ და „ვალდებულებების“ მუხლებში არსებული უზუსტობები; ფინანსური დანაკარგების რისკი.

დეპარტამენტის N1 სამმართველოს ბალანსზე რიცხული სხვადასხვა დავალიანება; „სამხედრო ჰოსპიტალი“, შპს „თბილისი-9“, შპს „ბათუმის ნავთობაზა“

<sup>26</sup> გადასახდელი დღგ (სამთო მაშველი) -729,029 ლარი; სხვა დანარჩენი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები საბიუჯეტო წლის ფარგლებში - 703,131 ლარი.

<sup>27</sup> ჩვენ მიერ შესწავლილ უმეტეს შემთხვევაში არ იყო დაკონკრეტებული გარანტიის მოქმედების ვადა.

## რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით მნიშვნელოვანია:

- J დადგინდეს მოთხოვნა-ვალდებულებების დავალიანებების რეალურობა, შესწავლილ იქნეს ხანდაზმულობის მიზეზები, შეფასდეს დავალიანებების ამოღების და დაფარვის ალბათობა და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით;
- J „112“-მა უზრუნველყოს სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომზე მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა დგომის საფასურის გადაუხდელობით წარმოქმნილი დებიტორული დავალიანების ანალიზური აღრიცხვა;
- J **ჯანმრთელობის დაცვის სამსახურმა** შეიმუშაოს ფინანსური გარანტიების სააღრიცხვო სისტემა.

**კომპონენტები, რომლებზეც  
გაიცა რეკომენდაცია  
შესასრულებლად**

სამინისტროს აპარატი, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, სასაზღვრო პოლიცია, სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, სსიპ - ჯანმრთელობის დაცვის სამსახური და სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“.

## 1.2 ინვენტარიზაცია

## აუდიტის მიზნება

სამინისტროს ზოგიერთ სტრუქტურულ ერთეულში 2021 წელს ინვენტარიზაციის პროცესი მიმდინარეობდა ნაკლოვანებებით, კერძოდ:

- J საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში 2021 წელს ინვენტარიზაციის პროცესი არ დასრულებულა და საბოლოო შედეგები არ არის დამტკიცებული;
- J სასაზღვრო პოლიციაში მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის პროცესი არ დასრულებულა;
- J **ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში** ძირითადი აქტივების და სამედიცინო დანიშნულების მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია 2021 წელს სრულყოფილად არ ჩატარებულა;
- J სამინისტროს აპარატში ინვენტარიზაცია სრულყოფილად არ ჩატარებულა.
- J „112“-სა და შსს-ს აკადემიაში 2021 წელს ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.

სამინისტროს განმარტებით, ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები გამოწვეული იყო ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარებით.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში 2019 წელს დაწყებული ინვენტარიზაციის შედეგების<sup>28</sup> მიხედვით, დაფიქსირებულია არაფინანსური აქტივების დანაკლისი და ზედმეტობა.

- J თბილისში არსებული N1 საწყობის ინვენტარიზაციის შედეგების აქტით გამოვლინდა 1,017,705 ლარის დანაკლისი და 597,965 ლარის ზედმეტობა. ბუღალტრულად აღრიცხულია 339,571 ლარის დანაკლისი,

<sup>28</sup> საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმები: N15008, (06/02/2019); N257465, (31/01/2020); N452361, (24/02/2021).

აღსანიშნავია, რომ სამსახურმა ინვენტარიზაციის შედეგებზე ინფორმაცია მიაწოდა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.

- J) ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირდა 15 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ზედმეტობა.
- J) სამსახურის მასშტაბით შესაბამისი სამმართველოების ბალანსზე რიცხული არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირდა 5,160,840 ლარის დანაკლისი და 417,725 ლარის ზედმეტობა.
- J) სამსახურის ბალანსზე რიცხულ უმრავლეს შემთხვევაში გამოვლინდა შეუსაბამობები, კერძოდ: 36 ერთეული, სახანძრო-სამაშველო ობიექტი ექსპერტის დასკვნის მიხედვით უვარგისია შემდგომი ექსპლუატაციისათვის, 62 ერთეული საჭიროებს კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს. შესაბამისად, სამსახურის ბალანსზე რიცხული სახანძრო-სამაშველო ობიექტების 74% საჭიროებს რეაბილიტაციას, ხოლო 4 სტრუქტურული ერთეულის უმრავლეს შემთხვევაში სარგებლობის უფლების გარეშეა წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ სამსახურმა ინვენტარიზაციის შედეგებზე ინფორმაცია<sup>29</sup> მიაწოდა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. ობიექტის განმარტებით, ინვენტარიზაციის შედეგები აისახვა ფინანსურ ანგარიშგებაში, და სხვა შესაბამისი რეაგირება განხორციელდება ინვენტარიზაციის დასრულების შემდგომ, ვინაიდან არსებობს ალბათობა, რომ გამოვლენილი აქტივების დანაკლისი იდენტიფიცირებულ იქნეს ობიექტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში.

#### მიზეზი

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ინვენტარიზაციის არასრულყოფილად განხორციელება; ინვენტარიზაციის ჩასატარებლად საკმარისი საკადრო რესურსის არარსებობა; აქტივების არასათანადო კონტროლი.

#### გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული შესაძლო უზუსტობები; აქტივების დაცულობის რისკები.

#### რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მიზნით, სამინისტროს ყველა დაქვემდებარებულმა უწყებამ ყოველწლიურად შექმნან საინვენტარიზაციო კომისიები, უზრუნველყონ არაფინანსური აქტივების ფაქტობრივი ნაშთების შემოწმება და ინვენტარიზაციის შედეგების ასახვა შესაბამისი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

#### კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, სასაზღვრო პოლიცია, სსიპ - ჯანმრთელობის დაცვის სამსახური, სსიპ - შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“.

<sup>29</sup> სამინისტროს გენერალური ინსპექციისათვის გაგზავნილი წერილი N03023858 (09/11/2019) და წერილი N01913926 (22/07/2021)

### 1.3 გამოუყენებელი ქონება

#### აუდიტის მიგნება

სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში გამოვლინდა ქონებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ნაკლოვანება, კერძოდ:

**სასაზღვრო პოლიციის, დაცვის პოლიციის, აპარატის, საპატრულო პოლიციის და ტერიტორიული ორგანოების<sup>30</sup>** ბალანსებზე, 2021 წლის საწყის და საბოლოო ნაშთად უცვლელად ირიცხებოდა, შესაბამისად, 1,022,953 ლარის, 1,250,353 ლარის, 1,052,337 ლარის<sup>31</sup>, 373,928 ლარის და 186,258 ლარის მატერიალური მარაგები,<sup>32</sup> რომელთაგან შემდგომი სარგებლის მიღება მოსალოდნელი არ არის. სამინისტროს განმარტებით, მიმდინარეობს ღონისძიებები აქტივების შემდგომი ეფექტიანი განკარგვის მიზნით.

**დაცვის პოლიციის დეპარტამენტის** ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითად აქტივად“ ირიცხება შენობა-ნაგებობაზე<sup>33</sup> კაპიტალიზებული 293,139 ლარის საპროექტო სამუშაოები და 208,700 ლარის<sup>34</sup> ღირებულების მიწა, ჯამურად 501,839 ლარი, საიდანაც სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი, ვინაიდან დეპარტამენტი უძრავი ქონებით არ სარგებლობს.

**სასაზღვრო პოლიციაში** 2021 წელს განხორციელებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარი 829,336 ლარის ძირითადი საშუალებები<sup>35</sup> და 1,196,785 ლარის - შენობა-ნაგებობები,<sup>36</sup> საიდანაც სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი. სასაზღვრო პოლიციის განმარტებით, ორგანიზაციაში დაწყებულია აქტივების ჩამოწერის და შემდგომი განკარგვის ღონისძიებები.<sup>37</sup>

**სასაზღვრო პოლიციის** 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ძირითადი აქტივად“ ერიცხება 222 ავტოსატრანსპორტო საშუალება, საიდანაც 36 აქტივის საბალანსე ღირებულება შეადგენს 305,080 ლარს, ხოლო დანარჩენი ნულის ტოლია. აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებები ტექნიკურად გაუმართავ მდგომარეობაშია<sup>38</sup> და მათი ექსპლუატაცია მიზანშეწონილი არ არის.

**სასაზღვრო პოლიციის** ბალანსზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 9 ერთეული<sup>39</sup> 40,411,641 ლარის საბალანსო ღირებულების აქტივი, რომლებიც ინვენტარიზაციის აქტის<sup>40</sup> მიხედვით, ტექნიკურად გაუმართავი და მოძველებულია. შესაბამისად, სასაზღვრო პოლიცია მათ ვერ იყენებს და სახეზეა გაუფასურების ნიშნები. აქტივები, ხანდაზმულობიდან გამომდინარე, საჭიროებს კაპიტალურ რემონტს. მნიშვნელოვანია, ორგანიზაციამ

<sup>30</sup> ქ.თბილისის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის და ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტები.

<sup>31</sup> საიდანაც, სამინისტროს მიერ 2022 წელს ჩამოიწერა 130,168 ლარის მატერიალური მარაგი.

<sup>32</sup> შეცვლილი დიზაინის გამო ხმარებიდან ამოღებული უნიფორმები, მოძველებული ტექნიკა და სხვა.

<sup>33</sup> ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N72 – (შენობა გადაეცა სხვა სახელმწიფო უწყებას).

<sup>34</sup> მიწის ნაკვეთი ქ.რუსთავის შესასვლელში (2018წ., ს/კ 81.05.13.572).

<sup>35</sup> საინჟინრო-ტექნიკური საშუალებები; საოფისე-საყაზარმე ინვენტარი; შეიარაღებისა და საბრძოლო მასალები, სანივთე ქონება.

<sup>36</sup> ლაგოდეხი, სანაპირო დაცვა, წითელი ხიდი, ბათუმი, დედოფლისწყარო და ახალციხე - არასაცხოვრებელი შენობები.

<sup>37</sup> სასაზღვრო პოლიციის უფროსის ბრძანებები ჩამოწერის აქტივების შესახებ: N115, 05/05/2022 წ.; N197, 08/07/2022 წ.; N212, 21/07/2022 წ.; N219, 04/08/2022 წ.; N349; 22/12/2022 წ., რომელთა საფუძველზე ჩამოწერილია ძირითადი აქტივები და სამხედრო დანიშნულების ქონება.

<sup>38</sup> 208 ავტოსატრანსპორტო საშუალება დალუქულია გენერალური ინსპექციის მიერ.

<sup>39</sup> მათ შორის, 3 ერთეული ნულოვანი ღირებულებითაა ასახული.

<sup>40</sup> რაც ასახულია ინვენტარიზაციის შედეგებში.

ხარჯსარგებლიანობის ანალიზის საფუძველზე განსაზღვროს აქტივების განკარგვის საუკეთესო ალტერნატივები.

**საპატრულო პოლიციაში** 2021 წელს განხორციელებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარი 530,339 ლარის ძირითადი საშუალებები<sup>41</sup>, საიდანაც სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი

**ტერიტორიული ორგანოების**<sup>42</sup> ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხული 3,398,661 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები - შენობა-ნაგებობები და ავტოსატრანსპორტო საშუალებები სრულად ამორტიზირებულია და ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარია.

#### მიზეზი

არ არის დანერგილი სათანადო კონტროლის მექანიზმები, რათა დროულად გამოვლინდეს ისეთი აქტივები, რომელთა გამოყენება და მომავალი ეკონომიკური სარგებლის/მომსახურების პოტენციალის მიღება არ არის მოსალოდნელი.

#### გავლენა

ქონების შემდგომი გამოყენების და სარგებლის მიღების ალბათობა დაბალია, აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში გაზრდილად არის წარდგენილი.

#### რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის და აქტივების ეფექტიანი მართვის მიზნით, მიზანშეწონილია ორგანიზაციებმა განახორციელოს მომავალი გამოყენებისთვის უსარგებლო აქტივების იდენტიფიცირება და ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარ ქონებასთან დაკავშირებით, შეაფასოს მათი შემდგომი განკარგვის საუკეთესო ალტერნატივები.

#### კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი, სასაზღვრო პოლიცია, საპატრულო პოლიცია, დაცვის პოლიცია, თბილისის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტები.

## 1.4 ნულოვანი ღირებულებით აღრიცხული ქონება

#### აუდიტის მიგნება

**სამინისტროს** ფინანსურ ანგარიშგებაში სპეციფიკური დანიშნულების აქტივების ნაწილი აღრიცხული აქვს მხოლოდ რაოდენობრივად, ხოლო ღირებულებით რიცხულ სპეციფიკური დანიშნულების აქტივებს<sup>43</sup> ცვეთა არ ერიცხება იმის გამო, რომ მარეგულირებელი ნორმებით და სამინისტროს სააღრიცხვო პოლიტიკით ამორტიზაციის კოეფიციენტი არ არის დადგენილი. აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი ძალოვანი უწყებებისთვის დამახასიათებელი საერთო ხასიათის პრობლემაა. სამინისტროს განმარტებით, 2022 წელს

<sup>41</sup> პლანშეტური კომპიუტერები, საოფისე ტექნიკა და სხვ.

<sup>42</sup> შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტები.

<sup>43</sup> მაგალითად, დაცვის პოლიციისა და სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე რიცხული საბრძოლო აღჭურვილობა და იარაღი, საბალანსე ღირებულებით - 1,663,209 ლარი და 1,827,227 ლარი.

დადგინდა ცვთის კოეფიციენტები<sup>44</sup> და მიმდინარეობს სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება.

**სამინისტროს სისტემაში, მათ შორის აპარატის, დაცვის პოლიციის და სასაზღვრო პოლიციის** ანგარიშგებაში, ირიცხება სხვადასხვა დასახელების მნიშვნელოვანი ოდენობის სპეციფიკური დანიშნულების აქტივები<sup>45</sup> და სათადარიგო ნაწილები, რომლებიც ნულოვანი ღირებულებით არის ასახული. ასევე **ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის** ბალანსზე სამედიცინო დანიშნულების აქტივები<sup>46</sup> ღირებულების გარეშე აღრიცხული.

სპეციფიკური დანიშნულების აქტივების<sup>47</sup> ღირებულების გარეშე აღრიცხვა,<sup>48</sup> ძალოვანი უწყებებისთვის დამახასიათებელ საერთო ნაკლოვანებას წარმოადგენს.

**აპარატი** 2018 წელს განხორციელებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი შენობა-ნაგებობები<sup>49</sup> და მიწა,<sup>50</sup> ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება ნულოვანი ღირებულებით. სამინისტროს განმარტებით, ქონების შეფასების სამუშაოები მიმდინარეობს ეტაპობრივად და დიდი მოცულობის გამო, პროცესი გარკვეულ დროს მოითხოვს. 2021 წელს დაწყებულია ღონისძიებები ქონების შეფასების მიზნით.<sup>51</sup>

**დაცვის პოლიციის** მიერ ღირებულების გარეშე აღრიცხული მიწის ნაკვეთები,<sup>52</sup> და სხვადასხვა სახის მცირეფასიანი ძირითადი აქტივები.<sup>53</sup>

**სასაზღვრო პოლიციის** მიერ ღირებულების გარეშე არის აღრიცხული 8 ერთეული<sup>54</sup> ძირითადი აქტივი და მათ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები.<sup>55</sup>

## მიზეზი

აქტივების სიმრავლე და შეფასებასთან დაკავშირებული სირთულეები, არასაკმარისი ფინანსური რესურსები.

## გავლენა

სამინისტროს ბალანსზე მატერიალური მარაგების და ძირითადი აქტივების ნაშთი შემცირებულად არის წარმოდგენილი.

<sup>44</sup> შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 3 ნოემბრის N1/483 ბრძანება.

<sup>45</sup> აპარატს აქტივები აღრიცხული აქვს საცნობარო მუხლებში ღირებულების გარეშე. გახარჯული მარაგების შესახებ ინფორმაცია ბუღალტერიას მიეწოდება მათი დასახელების და რაოდენობის მითითებით.

<sup>46</sup> 445,149 ცალი მრავალჯერადი გამოყენების მარლის პირბადე, 16,900 ცალი სამედიცინო პირბადე.

<sup>47</sup> იარაღი, საბრძოლო მასალა.

<sup>48</sup> სამინისტროს აპარატის მიერ განხორციელებული შეფასების ღონისძიებები, თუმცა ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით შეუძლებელია 2005 წლამდე წარმოშობილი სპეციფიკური აქტივების განსაზღვრა, რადგან ბაზარზე ანალოგი ვერ მოიძებნა. ხოლო, 2005 წლის შემდგომ შეძენილი საბრძოლო მასალა ირიცხება კომპლექტის ღირებულებით.

<sup>49</sup> სხვადასხვა ტერიტორიაზე განთავსებული 240 დასახელების ობიექტი.

<sup>50</sup> სამი ერთეული, ჯამური ფართობით 26,332 კვ.მ.

<sup>51</sup> შსს-ს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის 2021 წლის 9 მარტის წერილი N: MIA 0 21 00 559328.

<sup>52</sup> დაახლოებით 10,804 კვ.მ ფართობის.

<sup>53</sup> 265 დასახელების საოფისე ტექნიკა და მოწყობილობები.

<sup>54</sup> აშშ-ს გრანტის ფარგლებში გადმოცემული 5 ერთეული კატარა ღირებულების გარეშე აღრიცხული, ხოლო 3 ერთეული საფრენი აპარატი და ძრავი,მათგან პირველი საჭიროებს კაპიტალურ რემონტს.

<sup>55</sup> 606,516 კვ.მ. ფართობის.

**რეკომენდაცია**

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტრომ შეიმუშაოს რაოდენობრივად აღრიცხული სხვადასხვა სპეციფიკური აქტივის ღირებულების განსაზღვრის კრიტერიუმები, ცვეთის დარიცხვის პოლიტიკა და უზრუნველყოს აქტივების შესაბამისი ღირებულებით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა.

**კომპონენტები, რომლებზეც  
გაიცა რეკომენდაცია  
შესასრულებლად**

სამინისტრო.

## 1.5 ამორტიზებული ძირითადი აქტივები

**აუდიტის მიგნება**

**დაცვის პოლიციის** ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება, ცვეთის დარიცხვის შედეგად სრულად ამორტიზებული 12,649 დასახელების ძირითადი აქტივი, ასევე ნულთან მიახლოებული ღირებულების 97 ცალი 186,642 ლარის ღირებულების აქტივი, რომლებიც დაცვის პოლიციის მიერ კვლავ გამოიყენება.

**აპარატის** ანგარიშგებაში რიცხული 200 სატრანსპორტო საშუალების საბალანსე ღირებულება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 2,496,012 ლარს. 2021 წელს აღნიშნული აქტივები ცვეთის დარიცხვის შედეგად, სრულად იქნა ამორტიზებული. აქტივები აპარატის მიერ კვლავ გამოიყენება.

**მომსახურების სააგენტოს** წლის ბოლოს არ გადაუსინჯავს სასიცოცხლო მომსახურების ვადები ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებებსა და მცირეფასიან აქტივებზე, რომელთა საბალანსე ღირებულება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 219.350 ლარს და 2021 წლის ბოლოს ცვეთის დარიცხვის შედეგად სრულად იქნა ამორტიზებული.

**საპატრულო პოლიციის** ბალანსზე ირიცხება 1,278,661 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივი, რომელთაც არ აქვთ განსაზღვრული მომსახურების ვადა, შესაბამისად არ ერიცხება ცვეთა.

**მიზეზი**

აქტივების სიმრავლე და შეფასებასთან დაკავშირებული სირთულეები, არასაკმარისი ფინანსური რესურსები. სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.

**გავლენა**

ფინანსური ანგარიშგების „ძირითადი აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.

**რეკომენდაცია**

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია სამინისტრომ ყოველი წლის ბოლოს შეაფასოს ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები და იმ შემთხვევაში, თუ სასარგებლო მომსახურების ვადები განსხვავებული იქნება არსებული შეფასებისგან, ცვლილებები ასახოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

კომპონენტები, რომლებზეც სამინისტრო.  
გაიცა რეკომენდაცია  
შესასრულებლად

## 1.6 არამატერიალური აქტივები

### აუდიტის მიგნება

**დაცვის პოლიციის** ბალანსზე რიცხული 628,911 ლარის არამატერიალურ აქტივებიდან, ცვეთა 10 წლის ვადით ერიცხება უვადო ლიცენზიების მქონე 564,362 ლარის ღირებულების არამატერიალურ აქტივებს.

**საპატრულო პოლიციის და აპარატის** მიერ ბალანსზე რიცხული განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე 2,550,121 ლარის არამატერიალური აქტივები<sup>56</sup> არ არის შემოწმებული გაუფასურებაზე<sup>57</sup> და არ ერიცხება ცვეთა, რის გამოც შესაძლოა არასწორად იყოს წარმოდგენილი არამატერიალური აქტივების რეალური საბალანსო ღირებულება.<sup>58</sup>

**მომსახურების სააგენტოს** ბალანსზე ირიცხება ცვეთის და ამორტიზაციის შედეგად განუღებელი სხვადასხვა დასახელების არამატერიალური აქტივები, რომლებზეც წლის ბოლოს გაუფასურების ტესტირება არ ჩატარებულა, თუმცა, აღნიშნულ პროგრამებს. სააგენტო იყენებს.<sup>59</sup>

„112“-ში არ არის შემუშავებული შიდა წარმოების არამატერიალურ აქტივებზე ხარჯების კაპიტალიზების სააღრიცხვო პოლიტიკა.<sup>60</sup> სხვადასხვა დასახელების პროგრამულ უზრუნველყოფებს „112“ იყენებს საკუთარი მიზნების და ფუნქციების შესასრულებლად, თუმცა აქტივები არ არის შეფასებული და ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო რამდენიმე საინფორმაციო პროგრამა, რომლის შესყიდვის ღირებულება 360,580 ლარია,<sup>61</sup> არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. შესაბამისად, არ არის განსაზღვრული მომსახურების ვადები და არ ერიცხება ცვეთა.

### მიზეზი

შეფასებასთან დაკავშირებული სირთულეები, სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა.

<sup>56</sup> საპატრულო პოლიციისთვის განკუთვნილი 1,263,200 ლარის სამხრე კამერების პროგრამული უზრუნველყოფა. აპარატის ბალანსზე რიცხული 1,286,921 ლარის ვიდეორგოლები, მხატრულ-დოკუმენტური ფილმები, რომელთაც არ აქვს განსაზღვრული ვადა და შესაძლებელია ნებისმიერ დროს მისი გამოყენება.

<sup>57</sup> სსბასს 21, პუნქტი 26<sup>ბ</sup>; სსბასს 31 - „არამატერიალური აქტივები“, მუხლი 87.

<sup>58</sup> სამინისტროს აპარატმა მიმართა არამატერიალური აქტივების საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით სსიპ- ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს (წერილი: N5009027622; 28/12/2022) რომლის მიერ ვერ იქნა მოძიებული საბაზრო ღირებულება.

<sup>59</sup> საგამოცდო პროგრამა NEO INFORMATION SYSTEMS CO. LTD - მართვის მოწყობის მისაღები გამოცდისთვის; პროგრამა DEVELOPER EXPRESS INC.

<sup>60</sup> სამინისტროს მიერ 2021 წელს დაწყებულია ღონისძიებები სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავების მიზნით. ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის 2021 წლის 23 თებერვლის წერილი სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს.

<sup>61</sup> AWARE. Offender Managment System -ელექტრონული სისტემის (ელექტრონული სამაჯური და მიმღები აპარატი) საშუალებით მოძალადის/ მსხვერპლის მონიტორინგი ; ინფო საწარმო - „FMG SOFT“ - ბუღალტრული აღრიცხვა ბილინგი.

**გავლენა**

სამინისტროს ბალანსზე არამატერიალური აქტივების ნაშთი არ ასახავს მათ რეალურ ღირებულებას.

**რეკომენდაცია**

- 1) ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები ყოველწლიურად შეამოწმოს გაუფასურებაზე და თუ, სასარგებლო მომსახურების ვადები განსხვავებული იქნება არსებული შეფასებისგან, ცვლილებები ასახოს როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება
- 2) შეიმუშაოს შიდა წარმოების არამატერიალურ აქტივებზე ხარჯების კაპიტალიზების სააღრიცხვო პოლიტიკა.

**კომპონენტები, რომლებზეც  
გაიცა რეკომენდაცია  
შესასრულებლად**

აპარატი, საპატრულო პოლიცია, სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“, სსიპ - მომსახურების სააგენტო, სსიპ - დაცვის პოლიცია.

**1.7 ჯარიმების აღრიცხვა****აუდიტის მიგნება**

სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქვს მხოლოდ მიმწოდებელი კომპანიების მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შედეგად წარმოშობილი 4,507,745 ლარის შემოსავალი, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით გამოწერილი ჯარიმები<sup>62</sup> ასახული არ არის.

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ასახული 4,507,745 ლარის შემოსავლების სიზუსტეზე.

**მიზეზი**

არ არის შემუშავებული ჯარიმების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა.

**გავლენა**

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლების მუხლები შესაძლოა არ ასახავდეს მათ რეალურ ოდენობას.

**რეკომენდაცია**

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშაოს ჯარიმების სააღრიცხვო პოლიტიკა.

**კომპონენტები, რომლებზეც  
გაიცა რეკომენდაცია  
შესასრულებლად**

სამინისტრო.

<sup>62</sup> მაგალითად, 2021 წელს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო, ვიდუოჯარიმებით ბიუჯეტის სასარგებლოდ ჩარიცხულმა თანხამ 33,896,634 ლარი შეადგინა, სასაზღვრო პოლიციის მიერ სახელმწიფო საზღვარზე გამოვლენილი სამართალდარღვევების შედეგად ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით დაკისრებულმა თანხამ - 602,592 ლარი.

## 1.8 შემოსავლები

|                                                          |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |
|----------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| აუდიტის მიზნება                                          | <p>IT გარემოს მიმართულებით არსებული ნაკლოვანებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული აპლიკაციების კონტროლების ეფექტიანობაზე, სანდოობაზე და დამუშავებული მონაცემების სისრულესა და სიზუსტეზე. კერძოდ:</p> <p>აუდიტის მიზნებისთვის შერჩეულ იქნა აპლიკაცია<sup>63</sup> რომელიც, მოძველებულია და არ განახლებულა. მიუხედავად იმისა, რომ აპლიკაციის მომხმარებელთა რაოდენობა მცირეა, მნიშვნელოვან ნაკლოვანებას წარმოადგენს პრივილეგირებული მომხმარებლის მიერ განხორციელებული ქმედებების აღრიცხვის არ არსებობა. აღნიშნული გარემოება წარმოშობს განხორციელებული ცვლილებების შეუმჩნეველობის და მიკვლევადობის რისკებს.</p> <p>ყოველივე, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომსახურების სააგენტოს საბილინგე სისტემა სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს“ შემოსავლები სისწორესა და სიზუსტესთან დაკავშირებული რისკების შემცირებას</p> |
| მიზეზი                                                   | <p>IT ზოგადი და აპლიკაციის კონტროლები არაეფექტიანია. კერძოდ, აპლიკაცია საკმაოდ მოძველებულია <sup>64</sup> და არ განახლებულა.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                      |
| გავლენა                                                  | <p>იზრდება შემოსავლების სისრულესთან, სიზუსტესთან და ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებული რისკები.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
| რეკომენდაცია                                             | <p>ინფორმაციულ სისტემებთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სრულყოფის მიზნით:</p> <p>მომსახურების სააგენტომ შეიმუშაოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს აპლიკაციის უსაფრთხოების კონტროლებს, სისტემაში განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვას, მიკვლევადობას, ლოგიკური წვდომის კონტროლებსა და სისტემის მომხმარებლების როლების და უფლებების გადანაწილებას.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                              |
| კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად | <p>სსიპ – მომსახურების სააგენტო.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |

## 1.9 სააღრიცხვო სისტემის ნაკლოვანებები

|                 |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                      |
|-----------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| აუდიტის მიზნება | <p><b>ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის</b> სისტემაში ფუნქციონირებს პოლიკლინიკა (სამმართველო), რომლის ფუნქციას წარმოადგენს მოსამსახურეთა სამედიცინო და სამკურნალო-დიაგნოსტიკურ ღონისძიებათა უზრუნველყოფა. პოლიკლინიკის კაბინეტების სამკურნალო საშუალებებით, სახარჯი და ლაბორატორიული მასალებით, აგრეთვე ცალკეული სამედიცინო ქონებით</p> |
|-----------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|

<sup>63</sup> ფინანსური აუდიტის მიზნებისათვის შერჩეულ იქნა - BillingReciept (<https://reciept.sa.ge>) ვებ-აპლიკაცია.

<sup>64</sup> აპლიკაცია 2012 წელს შეიქმნა და მას შემდეგ ძირეული ცვლილება და განახლება არ განხორციელებულა.

უზრუნველყოფა, მოთხოვნის შესაბამისად, ხორციელდება სამსახურის სისტემაში შემავალი ავთიაქის მიერ.

სამსახურს არა აქვს შემუშავებული მატერიალური მარაგების ავთიაქიდან სამედიცინო კაბინეტზე გადაცემის სააღრიცხვო პოლიტიკა და მატერიალური მარაგები ავთიაქიდან გაცემისთანავე ჩამოიწერება ხარჯებში. ასევე, არ არსებობს ვადაგასული მედიკამენტების განადგურების (ჩამოწერის) წესი. შედეგად, იზრდება აღსარიცხავი ინფორმაციის სისრულესთან და სისწორესთან დაკავშირებული რისკები. სამინისტროს განმარტებით მიმდინარე პერიოდში დაწყებულია შესაბამისი ღონისძიებები ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

#### მიზეზი

სააღრიცხვო სისტემაში არსებული ნაკლოვანებები.

#### გავლენა

იზრდება აღსარიცხავი ინფორმაციის სისრულესთან, სისწორესთან და ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებული რისკები.

#### რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სრულყოფის მიზნით:

ჯანმრთელობის დაცვის სამსახურმა უზრუნველყოს, რომ სამედიცინო კაბინეტების ექიმების მიერ სამკურნალო საშუალებების მოთხოვნის რეგისტრაცია განხორციელდეს ელექტრონული ფორმით და შეიმუშაოს მარაგების ავთიაქიდან სამედიცინო კაბინეტზე გადაცემის სააღრიცხვო პოლიტიკა.

#### კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სსიპ - ჯანმრთელობის დაცვის სამსახური.

## 1.10 განმარტებითი შენიშვნები

#### აუდიტის მიგნება

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების სასამართლო დავების შესახებ.

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განმარტებით შენიშვნებში სასამართლო დავების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის მუხლში აღრიცხვა.<sup>65</sup>

#### მიზეზი

სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა.

<sup>65</sup> სსბასს 19 - ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები, პუნქტი 100.

|                                                          |                                                                                                                                                                                                                                    |
|----------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| გავლენა                                                  | ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილნი მნიშვნელოვანი ინფორმაციით.                                                                                                                                           |
| რეკომენდაცია                                             | ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განმარტებით შენიშვნებში სასამართლო დავების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის მუხლში აღრიცხვა. <sup>66</sup> |
| კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად | სამინისტრო.                                                                                                                                                                                                                        |

## 1.11 სააღრიცხვო პოლიტიკა

|                 |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |
|-----------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| აუდიტის მიგნება | <p><b>სასაზღვრო პოლიციაში</b> არ არის ჩამოყალიბებული მატერიალური მარაგების ჩამოწერასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია ახორციელებს კონტროლს გახარჯულ და ფაქტობრივად არსებულ ნაშთებზე, მატერიალური მარაგები საწყობიდან გასვლისას ჩამოიწერება პირდაპირ ხარჯებში და არ ხდება მათი აღრიცხვა ანგარიშვალდებულ პირზე ან მარაგების სახით. მაგალითად: სანაპირო დაცვის დეპარტამენტში საწვავის ჩამოწერა ხორციელდება მათი მცურავი საშუალებებისთვის მიწოდებისთანავე, მაშინ როდესაც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 376,748 ლარის გაუხარჯავი საწვავი, შესაბამისად, განთავსებული იყო მცურავი საშუალებების ავზში.</p> <p>სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N3 და N5 სამმართველოების მიერ საკვები პროდუქტები ხარჯებში ჩამოიწერებოდა საწყობიდან სექტორზე გადაცემისთანავე და არა ფაქტობრივი მოხმარების მიხედვით, რის გამოც „მატერიალური მარაგების“ მუხლზე არ არის ასახული სექტორებში 2021 წლის ბოლოს ფაქტობრივად არსებული 203,662 ლარის საკვები პროდუქტები.<sup>67</sup></p> <p><b>დაცვის პოლიციის დეპარტამენტს</b> არ აქვს შემუშავებული ობიექტების დაცვის განხორციელების მიზნით დამკვეთებისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემისთვის განკუთვნილი მოწყობილობების სააღრიცხვო პოლიტიკა.</p> <p>2021 წელს დეპარტამენტის მიერ დროებით გადაცემული 899,282 ლარის ტექნიკა გაცემისთანავე ჩამოიწერა ხარჯებში<sup>68</sup> „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლზე, რომელზეც აისახება გაყიდული მატერიალური მარაგების საბალანსო ღირებულება, ხოლო დამკვეთების მიერ უკან დაბრუნებული 480,933 ლარის აქტივები ნაცვლად შემოსავლებისა, ასახულია როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯების შემცირება. აღნიშნულ ოპერაციებთან</p> |
|-----------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|

<sup>66</sup> სსბასს 19 - ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები, პუნქტი 100.

<sup>67</sup> N3 სამმართველოს მარაგების 2021 წლის საბოლოო ნაშთი შემცირებულია 87,842 ლარით; N5 სამმართველოს 2021 წლის საბოლოო ნაშთი შემცირებულია 115,820 ლარით.

<sup>68</sup> ჩამოწერილი მარაგები ასახულია საცნობარო მუხლში „ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში“, თუმცა ასეთი მატერიალური მარაგების აღრიცხვა ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკით არ იყო განსაზღვრული.

დაკავშირებით სააღრიცხვო პრინციპების და წესების შემუშავება მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების სწორად აღსაქმელად.

სამინისტროს მიერ 2021 წელს დაწყებულია ღონისძიებები<sup>69</sup> სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავების მიზნით.

#### მიზეზი

სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა.

#### გავლენა

სააღრიცხვო პრინციპების და წესების შემუშავება მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების სწორად აღსაქმელად.

#### რეკომენდაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია შინაგან საქმეთა სამინისტროში შემავალმა საბალანსო ერთეულებმა სამინისტროსთან კოორდინაციით შეიმუშაონ და დანერგონ ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობს ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორი ინფორმაციის ასახვასთან, ინფორმაციის გამოტოვებასთან დაკავშირებული რისკის შემცირებას, ასევე განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომების შედეგად გამოწვეული უზუსტობების მინიმუმამდე შემცირებას.

#### კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სამინისტრო, სასაზღვრო პოლიცია, სსიპ - დაცვის პოლიცია.

## 1.12 სტრატეგიული მარაგები

#### აუდიტის მიგნება

მოქმედი კანონმდებლობით,<sup>70</sup> განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტების, აგრეთვე სახელმწიფო რეზერვის სისტემაში დასაგროვებელი მატერიალური ფასეულობების ნუსხას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარდგინებით, ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

სახელმწიფო რეზერვის სისტემის მართვა, ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განსაკუთრებულ კომპეტენციას. სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნასთან, შენახვასა და მართვასთან დაკავშირებულ სხვა ოპერაციებს ახორციელებს **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის** მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სამსახურში არ არის განსაზღვრული მატერიალური ფასეულობების ნომენკლატურა და მატერიალური რეზერვების სახელმწიფო პოლიტიკა. სამინისტროს განმარტებით, მიმდინარეობს მუშაობა მატერიალური რეზერვების სახელმწიფო პოლიტიკის შესამუშავებლად.

<sup>69</sup> ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის 2021 წლის 23 თებერვლის წერილი № MIA 4 21 00437417 სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს.

<sup>70</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შესახებ“.

|                                                          |                                                                                                                                                                                                                                      |
|----------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| გავლენა                                                  | მატერიალური რეზერვების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეზერვების შევსება მნიშვნელოვანია საქართველოს სამოხილიზაციო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.                                                                              |
| რეკომენდაცია                                             | საქართველოს სამოხილიზაციო მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა შეიმუშაოს სახელმწიფო რეზერვის სისტემისთვის აუცილებელი მატერიალური ფასეულობების ნუსხა და მატერიალური რეზერვების სახელმწიფო პოლიტიკა. |
| კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად | საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.                                                                                                                                                                                             |

### 1.13 ინფორმაციული უსაფრთხოება

|                 |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
|-----------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| აუდიტის მიგნება | „კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები – <b>ცენტრალური აპარატი, სასაზღვრო პოლიცია, „112“ და მომსახურების სააგენტო</b> წარმოდგენს კრიტიკული ინფორმაციის სუბიექტს.<br><br>„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2021 წლის მდგომარეობით, სამინისტროში არ იყო განსაზღვრული ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი; ასევე სამინისტროსა და საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს შორის არ არის გამიჯნული ფუნქცია-მოვალეობები, რაც გარკვეული რისკების შემცველია. |
| მიზეზი          | მცდელობის მიუხედავად ვერ მოხერხდა შესაბამისი კადრის შერჩევა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო შრომის ბაზარზე არსებული კვალიფიციური კადრების დეფიციტითა და მოთხოვნილი მაღალი სახელფასო განაკვეთით. სამინისტროსა და საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოში არ არის გამიჯნული ფუნქცია-მოვალეობები და ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტი ვინ არის ვალდებული განსაზღვროს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა.                                                                                                                                                                                                                     |
| გავლენა         | იზრდება ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული რისკები.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                      |
| რეკომენდაცია    | ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტრომ განსაზღვროს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |

კომპონენტები, რომლებზეც  
გაიცა რეკომენდაცია  
შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი, სასაზღვრო პოლიცია, სსიპ - საზოგადოებრივი  
უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ და სსიპ - მომსახურების სააგენტო.

## 1.14 სოციალური დახმარება

აუდიტის მიგნება

2021 წლის დეკემბერში სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით გაცემული<sup>71</sup> ერთჯერადი სოციალური დახმარებები არ არის საკმარისად დასაბუთებული, ვინაიდან არ არის სათანადოდ დოკუმენტირებული ბრძანების საფუძველი და დახმარების გაცემის მოტივი.

გაფლენა

„სოციალური დახმარების“ მუხლით გაწეული ხარჯები ზოგიერთ შემთხვევაში არ არის საკმარისად დასაბუთებული.

რეკომენდაცია

სოციალური დახმარების თანხების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, სამინისტრომ უზრუნველყოს ერთჯერადი დახმარებების გაცემა შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების საფუძველზე.

კომპონენტები, რომლებზეც  
გაიცა რეკომენდაცია  
შესასრულებლად

სამინისტრო.

## 1.15 შრომის ანაზღაურება

აუდიტის მიგნება

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით<sup>72</sup>, საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის მიერ წლის განმავლობაში მიღებული ფულადი ჯილდოს საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პირის მიერ დაკავებული თანამდებობის/პოზიციის თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 10%-ს, ხოლო სახელფასო დანამატის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პირის მიერ დაკავებული თანამდებობის/პოზიციის თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 20%-ს.

ამასთანავე, აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე,<sup>73</sup> როდესაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირის მიერ დამატებითი ანაზღაურების მისაღებად დასაკმაყოფილებელი კრიტერიუმები (მათ შორის, ნამსახურები წლები) და დანამატის ოდენობა განსაზღვრულია შესაბამისი ნორმატიული აქტით ან/და „საიდუმლო“ გრიფის მქონე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.<sup>74</sup>

<sup>71</sup> სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში 5,504 თანამშრომელზე გაიცა 3,886,948 ლარის სოციალური დახმარება.

<sup>72</sup> 28-ე მუხლი.

<sup>73</sup> პირველი მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>74</sup> „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირისთვის სახელფასო დანამატი შეიძლება დამატებით გაიცეს ამ კანონის 28-ე მუხლით

**აუდიტის მიგნება**

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით,<sup>75</sup> სახელფასო დანამატი წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის განსაზღვრულ თანხას.

სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ ზოგიერთ თანამშრომელს, 2021 წლის 1 იანვრიდან წინასწარ, მთელი წლის განმავლობაში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით, დაენიშნა ყოველთვიური დანამატი.<sup>76</sup> ზეგანაკვეთური სამუშაო რეჟიმი დამახასიათებელია<sup>77</sup> სამინისტროს სისტემისთვის, თუმცა დანამატის გაცემა არ იყო სათანადოდ დასაბუთებული.

**აუდიტის მიგნება**

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით,<sup>78</sup> ფულადი ჯილდო წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის (გარდა მოხელისა) მიერ მისთვის დაკისრებული ფუნქციების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის ან/და მის მიერ განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის გათვალისწინებულ წახალისების საშუალებას.

2021 წლის მარტსა და დეკემბერში სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში გაცემული ფულადი ჯილდო<sup>79</sup> არ არის საკმარისად დასაბუთებული, ვინაიდან არ არის სათანადოდ დოკუმენტირებული ბრძანების საფუძველი და ფულადი ჯილდოს გაცემის მოტივი.

**მიზეზი**

შრომის ანაზღაურების პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმების სისუსტეები.

**გავლენა**

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯები არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

**რეკომენდაცია**

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით გასაცემი თანხების სიზუსტის, გამჭვირვალობისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად სამინისტრომ - ზეგანაკვეთური და დამატებითი ფუნქციების შესრულების მოტივით გასაცემი დანამატების დასაბუთების წესი. დანამატების და ფულადი

დადგენილი ფულადი ჯილდოს ზღვრული ოდენობის ფარგლებში. იმ პირობით, რომ შესაბამისი პირის მიერ მიღებული სახელფასო დანამატი და ფულადი ჯილდო ჯამურად ამ კანონის 26-ე და 28-ე მუხლებით დადგენილ ზღვრულ ოდენობას არ გადააჭარბებს.

<sup>75</sup> მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>76</sup> თანხამ წლის განმავლობაში 10,475,464 ლარი შეადგინა და ნაწილდება სამინისტროში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების 7184 თანამშრომელზე.

<sup>77</sup> „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლი.

<sup>78</sup> მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

<sup>79</sup> 2021 წლის მარტში 5,360 თანამშრომელზე გაცემულია 696,540 ლარის ფულადი ჯილდო. ხოლო, დეკემბერში 27,886 ერთეულზე-8,285,400 ლარი.

ჯილდოს გაცემა უზრუნველყოს შესაბამისი სამუშაოს შესრულების შემდგომ სათანადო დოკუმენტური დასაბუთების საფუძველზე;

კომპონენტები, რომლებზეც  
გაიცა რეკომენდაცია  
შესასრულებლად

სამინისტრო.

## 1.16 სამშენებლო მიმართულებით გამოვლენილი ნაკლოვანებები

### აუდიტის მიგნება

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.<sup>80</sup>

მშენებლობის<sup>81</sup> შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის საპროექტო დოკუმენტაციისთან შედარებით, ასევე, ადგილზე ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად, გარკვეულ პოზიციებთან მიმართებით, გამოვლინდა სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო დანახარჯების დაანგარიშების და მათი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ნაკლოვანებები, რაც მიუთითებს კონტროლის სისტემის გაუმჯობესების პოტენციალზე.

### მიზეზი

სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული სათანადო კონტროლის მექანიზმების ნაკლებობა.

### გავლენა

საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვის რისკი.

### რეკომენდაცია

სამინისტრომ დანერგოს და გააუმჯობესოს არსებული კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად შესყიდვის ხელშეკრულების შესრულებაზე სათანადო მონიტორინგს. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების უკეთ წარმოებას და მინიმუმამდე შეამცირებს ხარვეზებით შედგენილი პროექტების მიღებას.

კომპონენტები, სადაც  
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტრო.

<sup>80</sup> საპროექტო დოკუმენტაციები, სატენდერო დოკუმენტური აქტები, შესრულებული სამუშაოების აქტები (ფორმა N2)

<sup>81</sup> 8 ხელშეკრულება - პოლიციის შენობები, საცხოვრებელი სახლები და სახანძრო-სამაშველო შენობები (კრწანისი (თბილისი), წალენჯიხა, ჩხოროწყუ, გურჯაანი, ბათუმი, აბასთუმანი, თბილისის 1 ობიექტი, წალკა. პოზიციებთან დაკავშირებული თანხობრივი მაჩვენებელი სულ 242,059 ლარი. წალკის ობიექტის სამუშაოების შესყიდვა და მასზე ზედამხედველობა განხორციელებულია შსს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის მიერ, ხოლო სხვა დანარჩენი სამუშაოების - შსს ცენტრალური აპარატის მიერ.

## 2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

### 2.1 ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაცია

|                                         |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
|-----------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| აუდიტის მიგნება                         | სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ელიმინირებული დაცვის პოლიციის დეპარტამენტს და სამინისტროს სხვა დაქვემდებარებულ უწყებებს შორის 2021 წელს განხორციელებული 526,495 ლარის ოპერაციები <sup>82</sup> , შესაბამისად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები 526,495 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი. |
| კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა | სამინისტრო.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                      |

### 2.2 სახელფასო ვალდებულებები

|                                         |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
|-----------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| აუდიტის მიგნება                         | <p>აპარატის ბალანსზე რიცხული 2005 წლამდე წარმოშობილი 8,191,658 ლარის დავალიანება, ასევე თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული 1998 – 2005 წლებში წარმოქმნილი 1,460,269 ლარის დავალიანება წარმოადგენს გაუცემელ სახელფასო დავალიანებებს და მასთან დაკავშირებულ გადასახადებს.</p> <p>სამინისტროს არ გააჩნია სახელფასო დავალიანების დაფარვის სამართლებრივი ვალდებულება, აღნიშნული დავალიანებები მაღალი ალბათობით ხანდაზმულია და არ აკმაყოფილებს ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს.<sup>83</sup></p> <p>შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ ვალდებულებას აღიარებს კონსტრუქციულ მოვალეობად,<sup>84</sup> რაც არ არის გამჟღავნებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. შესაბამისად, ანგარიშგების მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილი მნიშვნელოვანი ინფორმაციით.</p> |
| კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა | სამინისტრო.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |

### 2.3 ვალდებულებები

|                 |                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |
|-----------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| აუდიტის მიგნება | აპარატის ბალანსზე ირიცხება 2017 წელს წარმოქმნილი, 8,818,982 ლარის დავალიანება, რომელიც დაკავშირებულია ფინანსთა სამინისტროს სსიპ-საფინანსო ანალიტიკური სამსახურისგან Microsoft-ის ლიცენზიების შესყიდვასთან. ვალდებულების დაფარვა ვერ განხორციელდა, ვინაიდან ბიუჯეტში შესაბამისი ასიგნებები გათვალისწინებული არ ყოფილა. |
|-----------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|

<sup>82</sup> დაცვის მომსახურება.

<sup>83</sup> 2017 წლის 1 ივლისს გაუქმდა 1997 წელს დამტკიცებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, სადაც განსზღვრული იყო 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის გაცემა, ხოლო ახალი კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ მსგავს ჩანაწერს აღარ ითვალისწინებს.

<sup>84</sup> სსბასს 19 - მუხლი 18.

კომპონენტები, სადაც  
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი

## 2.4 ქონების შეფასება

აუდიტის მიგნება

**სამინისტროს აპარატმა**, 2021 წელს განახორციელა საკუთარ მფლობელობაში არსებული სხვადასხვა შენობის და მიწის გადაფასება, რის შედეგადაც აქტივების ღირებულება გაიზარდა 1,444,088 ლარით. **დაცვის პოლიციამ** 2021 წელს განახორციელა თავის მფლობელობაში არსებული სხვადასხვა შენობის და მიწის გადაფასება, რის შედეგადაც აქტივების ღირებულება გაიზარდა 3,801,024 ლარით. **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა** 2021 წელს განახორციელა საკუთარ მფლობელობაში არსებული სხვადასხვა შენობის და მიწის გადაფასება, რის შედეგადაც აქტივების ღირებულება გაიზარდა 5,915,375 ლარით.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია აქტივების გადაფასების თარიღისა და გადაფასებული ღირებულების შესახებ, რომლის წარდგენაც ფინანსური აღრიცხვის ინსტრუქციის<sup>85</sup> მიხედვით, საჭიროა ძირითადი აქტივების რეალური ღირებულების ერთჯერადი განსაზღვრის შემთხვევაში.

კომპონენტები, სადაც  
გამოვლინდა დარღვევა

აპარატი; დაცვის პოლიცია; საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

## 2.5 ძირითადი აქტივების გადაფასება

აუდიტის მიგნება

2021 წლის ბოლოს **სსიპ-ების** მიერ ანგარიშგებაში რიცხული 1090 ერთეული სატრანსპორტო საშუალებიდან, 481 ერთეული აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით,<sup>86</sup> ხოლო დანარჩენი - თვითღირებულებით. აღნიშნული, არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების წადგენის საფუძვლების მოთხოვნას,<sup>87</sup> რომლის მიხედვითაც, ერთ ჯგუფში შემავალი ძირითადი აქტივებისთვის უნდა გამოიყენებოდეს შეფასების ერთი და იგივე მოდელი: აღნიშნული მოთხოვნა აქტივების გადაფასებასთან დაკავშირებით სსიპ-ების მიერ გათვალისწინებული არ არის.

კომპონენტები, სადაც  
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ - დაცვის პოლიცია; სსიპ - მომსახურების სააგენტო; სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“.

<sup>85</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“. მუხლი 10, პუნქტი 28 (2021 წელს მოქმედი რედაქცია).

<sup>86</sup> სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ-ების მიერ მოხდა ნაწილი ავტომანქანების შეფასება მოხდა საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით, ავტომანქანების გადაფასების შედეგები აისახა ფინანსურ ანგარიშგებაში და გაიზარდა 5,685,642 ლარით.

<sup>87</sup> სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, პუნქტი 92;

სსბასს 17, პუნქტი 51.

## 2.6 საწვავის ხარჯები

|                                         |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |
|-----------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| აუდიტის მიგნება                         | <p>საწვავის ხარჯებთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიტიკური პროცედურების შედეგად, გამოვლინდა როგორც ერთჯერადად, ასევე დროის მცირე მონაკვეთებში ავტომატური ავზის მოცულობასთან შედარებით მეტი ოდენობით საწვავის ჩასხმის ფაქტები,<sup>88</sup> რაც ზრდის საწვავის არამიზნობრივად გამოყენების რისკებს.</p> <p>აღსანიშნავია რომ სამინისტრომ აღნიშნული ფაქტის შესახებ 2021 წელს აცნობა<sup>89</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.</p> |
| კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა | სამინისტრო                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |

## 2.7 სააღრიცხვო სისტემის ნაკლოვანებები

|                                         |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
|-----------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| აუდიტის მიგნება                         | <p>საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ 2021 წლის ბუღალტრული ინფორმაცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული ანგარიშთა გეგმის კლასიფიკაციის მიხედვით არ არის მომზადებული.<sup>90</sup></p> |
| კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა | საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |

<sup>88</sup> აუდიტორული პროცედურების შედეგად, არამიზნობრივად ხარჯვის რისკი გამოვლენილია 2,325 ლიტრ საწვავთან დაკავშირებით.

<sup>89</sup> 2021 წლის 23 სექტემბრის წერილი №MIA 1 21 02520491.

<sup>90</sup> საპატრულო პოლიციის მიერ წარმოდგენილი ბრუნვითი უწყისში ანგარიშებს და ქვე-ანგარიშებს შორის დარღვეული არის ჯამურობის პრინციპი.

### 3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

|                                  |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |
|----------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| რეკომენდაცია N1                  | <p>ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით მნიშვნელოვანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>⌋ დადგინდეს მოთხოვნა-ვალდებულებების დავალიანებების რეალურობა, შესწავლილ იქნეს ხანდაზმულობის მიზეზები, შეფასდეს დავალიანებების ამოღების და დაფარვის ალბათობა და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით;</li> <li>⌋ „112“-მა უზრუნველყოს სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომზე მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა დგომის საფასურის გადაუხდელობით წარმოქმნილი დებიტორული დავალიანების ანალიზური აღრიცხვა;</li> <li>⌋ ჯანმრთელობის დაცვის სამსახურმა შეიმუშაოს ფინანსური გარანტიების სააღრიცხვო სისტემა.</li> </ul> |
| რეკომენდაციის შესრულების სტატუსი | მიმდინარე.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
| რეკომენდაცია N2                  | <p>ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მიზნით, სამინისტროს ყველა დაქვემდებარებულმა უწყებამ ყოველწლიურად შექმნას საინვენტარიზაციო კომისიები, უზრუნველყონ არაფინანსური აქტივების ფაქტობრივი ნაშთების შემოწმება და ინვენტარიზაციის შედეგების ასახვა შესაბამისი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |
| რეკომენდაციის შესრულების სტატუსი | მიმდინარე.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
| რეკომენდაცია N3                  | <p>ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის და აქტივების ეფექტიანი მართვის მიზნით, მიზანშეწონილია სამინისტრომ განახორციელოს მომავალი გამოყენებისთვის უსარგებლო აქტივების იდენტიფიცირება და ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარ ქონებასთან დაკავშირებით, შეაფასოს მათი შემდგომი განკარგვის საუკეთესო ალტერნატივები.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
| რეკომენდაციის შესრულების სტატუსი | მიმდინარე.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
| რეკომენდაცია N4                  | <p>ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტრომ შეიმუშაოს რაოდენობრივად აღრიცხული სხვადასხვა სპეციფიკური აქტივის ღირებულების განსაზღვრის კრიტერიუმები, ცვეთის დარიცხვის პოლიტიკა და აქტივები შესაბამისი ღირებულებით აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
| რეკომენდაციის შესრულების სტატუსი | მიმდინარე.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |

|                                  |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |
|----------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| რეკომენდაცია N5                  | ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სამინისტრომ განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები ყოველწლიურად შეამოწმოს გაუფასურებაზე და შეიმუშაოს შიდა წარმოების არამატერიალურ აქტივებზე ხარჯების კაპიტალიზების სააღრიცხვო პოლიტიკა.                                                                                                                                                                                                                          |
| რეკომენდაციის შესრულების სტატუსი | მიმდინარე.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
| რეკომენდაცია N6                  | ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშაოს ჯარიმების სააღრიცხვო პოლიტიკა.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |
| რეკომენდაციის შესრულების სტატუსი | მიმდინარე.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
| რეკომენდაცია N7                  | <p>ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სრულყოფის მიზნით:</p> <p>სასაზღვრო პოლიციამ მატერიალური მარაგების ანალიზური აღრიცხვა აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფით;</p> <p>ჯანმრთელობის დაცვის სამსახურმა უზრუნველყოს, რომ სამედიცინო კაბინეტების ექიმების მიერ სამკურნალო საშუალებების მოთხოვნის რეგისტრაცია განხორციელდეს ელექტრონული ფორმით და შეიმუშაოს მარაგების ავთიაქიდან სამედიცინო კაბინეტზე გადაცემის სააღრიცხვო პოლიტიკა.</p> |
| რეკომენდაციის შესრულების სტატუსი | მიმდინარე                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |
| რეკომენდაცია N8                  | ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განმარტებით შენიშვნებში სასამართლო დავების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის მუხლში აღრიცხვა.                                                                                                                                                                                                                                                                          |
| რეკომენდაციის შესრულების სტატუსი | მიმდინარე.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
| რეკომენდაცია N9                  | კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია შინაგან საქმეთა სამინისტროში შემავალმა საბალანსო ერთეულებმა სამინისტროსთან კოორდინაციით შეიმუშაონ და დანერგონ ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობს ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორი ინფორმაციის ასახვასთან, ინფორმაციის გამოტოვებასთან დაკავშირებული რისკის შემცირებას, ასევე განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომების შედეგად გამოწვეული უზუსტობების მინიმუმამდე შემცირებას.      |

რეკომენდაციის შესრულების  
სტატუსი

მიმდინარე.

რეკომენდაცია N10

საქართველოს სამოხილიზაციო მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა შეიმუშაოს სახელმწიფო რეზერვის სისტემისთვის აუცილებელი მატერიალური ფასეულობების ნუსხა და მატერიალური რეზერვების სახელმწიფო პოლიტიკა.

რეკომენდაციის შესრულების  
სტატუსი

მიმდინარე

რეკომენდაცია N11

ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად იმსჯელოს მათი დაფარვისთვის საჭირო ღონისძიებების შესახებ.

რეკომენდაციის შესრულების  
სტატუსი

მიმდინარე

რეკომენდაცია N12

სოციალური დახმარების თანხების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, სამინისტრომ უზრუნველყოს ერთჯერადი დახმარებების გაცემა შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების საფუძველზე.

რეკომენდაციის შესრულების  
სტატუსი

მიმდინარე.

რეკომენდაცია N13

საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად განკარგვის მიზნით, სამინისტრომ შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს საწვავის არამიზნობრივად გამოყენების პრევენციას და დროულად გამოვლენას. გამოვლენილ ფაქტებთან დაკავშირებით გამოიკვლიონ მიზეზები და იმოქმედონ კანონმდებლობის შესაბამისად.

რეკომენდაციის შესრულების  
სტატუსი

მიმდინარე.

რეკომენდაცია N14

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით გასაცემი თანხების სიზუსტის, გამჭვირვალობისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად:

- )/ სამინისტრომ შეიმუშაოს ფულადი ჯილდოს და დანამატების ზღვრების კონტროლის მექანიზმები;
- )/ სამინისტრომ ზეგანაკვეთური და დამატებითი ფუნქციების შესრულების მოტივით გასაცემი დანამატების დასაბუთების წესი. დანამატების და ფულადი ჯილდოს გაცემა უზრუნველყოს შესაბამისი სამუშაოს შესრულების შემდგომ სათანადო დოკუმენტური დასაბუთების საფუძველზე;

) საპატრულო პოლიციამ და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საფინანსო დანაყოფებმა ყოველთვიურად წარუდგინონ შესაბამის საკადრო დანაყოფებს წინა თვეში გაცემული ხელფასის რეესტრი.

რეკომენდაციის შესრულების მიმდინარე.  
სტატუსი

## 4. საკონტაქტო ინფორმაცია

**გაცემული  
რეკომენდაციების  
შესრულების  
მონიტორინგის  
პროცესზე  
პასუხისმგებელი  
პირი**

ანა ზავრაშვილი

ელფოსტის მისამართი: [AZavrashvili@sao.ge](mailto:AZavrashvili@sao.ge)

**სახელმწიფო  
აუდიტის სამსახურის  
რეკომენდაციების  
შესრულების  
მონიტორინგის  
სისტემა**

<https://aris.sao.ge/>

**ვებგვერდი და  
სოციალური მედია**

<https://www.sao.ge/>

<https://www.budgetmonitor.ge/ka>

<http://www.blog.sao.ge/>

<http://www.sai.ge/main/>

<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>

<https://www.youtube.com/user/saogeorgia>

<https://www.facebook.com/www.sao.ge>

**ცხელი ხაზი**

(+995 32) 243 81 81

**ელექტრონული ფოსტა**

[sao@sao.ge](mailto:sao@sao.ge)

სახელმწიფო აუდიტის სამსახური  
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96  
+995 32 243 84 38

**SAO.GE**